

ქალაქ ქუთაისში, ჩხობაძის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის NN319,320,321 ბინებზე,  
მოქალაქე ავთანდილ ჟორჯოლიანისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ავთანდილ ჟორჯოლიანის განცხადება /2010 წლის 24.11 N1576/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ჩხობაძის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის NN319,320,321 ბინები/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ჩხობაძის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის NN319,320,321 ბინებზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ავთანდილ ჟორჯოლიანს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების საქალაქო სამსახურმა /ნ.ჩოგოვაძე/, ქალაქ ქუთაისში, ჩხობაძის ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის NN319,320,321 ბინებზე /საერთო ფართობი 40,80 კვ.მ./, მოქალაქე ავთანდილ ჟორჯოლიანის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე დ.ანდლუაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე